ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3846588

ნომერი: AR1579541

თარიღი : 22.02.2018

გაცემის თარიღი : 02.03.2018

გაცნობის თარიღი : 02.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 23 , მიმდებარედ ნაკვეთი 25/162;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 22

თებერვალს #AR1579541 განცხადებით მომართა ალექსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გამრეკელის ქუჩაზე #23, მიმდებარედ ნაკვეთი 25/162, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე(საკ. კოდი№01.14.02.025.162), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო 2014 წლის 30 ოქტომბრის №1564905 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3601131 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა საცხოვრებელ ფართობი: 907,0 კვ.მ, საერთო ფართობი: 1278,2 კვ.მ
მოვიანებით, სამსახურის 2018 წლის 17 იანვრის №3782343 ბრძანებით, ცვლილება შევიდა სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში. კერძოდ, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნა დამხმარე ფართობი - 204 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 766.46 კვ.მ, საზაფხულო ფართობად - 72.39 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად - 1112.55 კვ.მ.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, უთითებს, რომ საცხოვრებელი ფართობი: 766.46 კვ.მ კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 809,45 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 72.39 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 100.12 კვ.მ, საერთო ფართობი - 1112.55 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1183.27 კვ.მ. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი გეგმებიც.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები და გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 809,45 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 100.12 კვ.მ, საერთო ფართობი: 1183.27 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები, გარდა +16.500 ნიშნულის გეგმისა, ჩანაცვლდეს 2018 წლის 22 თებერვლის #AR1579541 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით. სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.